

ვაჟა შენგელია

ჩერქეზულ თანხმოვანთა ტრანსლიტერაციისათვის ქართულში. II. ხშულები

მთის იბერიულ-კავკასიური ენების ფონემათა ქართულში ტრანსლიტერაციის საკითხი აქტუალური გახდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც ქართულ ენციკლოპედიაში შესატანი ტოპონიმებისა და ანთროპონიმების მართლწერის საკითხები განიხილებოდა; კონსულტაციას ამ ენათა სპეციალისტებისაგან იღებდნენ (ჩერქეზულ ენებში მთავარი კონსულტანტი იყო პროფ. გ. როგავა, ზოგი ჩერქეზული სიტყვის მართლწერის დასაზუსტებლად ჩვენც მოგვმართავდნენ). 80-იანი წლების დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ მოხსენებაში, რომელსაც წინასწარი ხასიათი ჰქონდა, ჩვენ მიერ ჩერქეზულ თანხმოვანთა ტრანსლიტერაციის რამდენიმე საკითხი დაისვა. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ XIV და XV ტომებში დაბეჭდილ სტატიებში შევეხეთ ჩერქეზულ (ადილეურ) ხმოვანთა, სპირანტთა და სონორთა ტრანსლიტერაციის საკითხს [იხ.: შენგელია 2014: 159-164; შენგელია 2015: 111-115]. ამჯერად ხშულებს შევეხებით.

ქართული და ჩერქეზული ენებისათვის დამახასიათებელია ხშულთა სამეულბრივი სისტემა (გამონაკლისია ზჟედუღური და შაფსუღური დიალექტები, რომლებსაც ოთხეულბრივი სისტემა მოეპოვება). ქართულსა და ჩერქეზულში ხშულ ფონემათა სხვადასხვა რაოდენობაა წარმოდგენილი: თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში 16 ხშული გამოიყოფა, ჩერქეზულ სალიტერატურო ენაში, გ. როგავას თვალსაზრისის შესაბამისად, – 24 [იხ.: როგავა, კერაშევა 1966: 28-46 და თანხმოვანთა ტაბულა]. მათი ტრანსლიტერაცია გარკვეულ წესებს უნდა დაექვემდებაროს.

1. ხშულთა ოთხი რიგის – 12 თანხმოვნის (ბ ფ ჰ, დ თ ტ, ძ ც წ, ჯ ჩ ჭ) ქართულად გადმოცემისას რაიმე სიძნელეს არ ვაწყდებით:

ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი	ქ ა რ თ უ ლ ი
Безә	ზიასა
Паруә	ფაგვა

ШатIә	პატა
Дидыу	დიდიუ
Темыр	თიამურ-ი
ТIатI	ტატ-ი
Дзапщ	ძაფშ-ი
Цац	ცაც-ი
Ц эхъу	წახვ-ი
Джэж	ჯეჟ-ი
Чэлә	ჩელე
КIасә ¹	ქასე

2. ლაბიალიზებული თანხმოვნები უნდა გადმოიცეს თანხმოვანთკომპლექსებით – თანხმოვანი + ვ (ჩერქ. Дзу Цу ЦIу, Гу Ку KIу – ქართ. ძვ ცვ წვ, გვ ქვ კვ):

ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი	ქ ა რ თ უ ლ ი
Дзодз	ძვამ-ი
Цужьыт	ცვიჟით-ი
Гуагуә	გვაგვა
Куашәгъу	ქვაშალვ-ი
КIуанә	კვანა

3. მაგარი (ინტენსიური) შიშინა თანხმოვნები ისევე გადმოიცემა, როგორც – სადა (არამაგარი) შიშინები (ჩერქ. Дж Чъ ЧI – ქართ. ჯ ჩ ქ):

ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი	ქ ა რ თ უ ლ ი
Джәнәт ²	ჯენეთ-ი
ГъукIыпс	ღვიჭიფს-ი

შ ე ნ ი შ ე ნ ა : ლაბიალიზებული სისინა მკვეთრი ხშულისა და მაგარი შიშინა მკვეთრი თანხმოვნების შემცველი ანთროპონიმები, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ.

¹ არამაგარი (რბილი) ქ-ს გადმოსაცემად ჩერქეზულში KI გამოიყენება.

² ჩერქეზულ ანბანში, რომელიც რუსულს ემყარება, მაგარი და არამაგარი შიშინა მჟღერი აფრიკატი ერთნაირად გადმოიცემა.

4. ჩერქეზული ფარინგალური ხშული **кь**-სა და მისი ლაბი-ალიზებული სახეობის (**кьу**-ს) ტრანსლიტერაცია უნდა მოხდეს ფონეტიკურად შედარებით ახლოს მდგომი **ხ**-სა და **ხგ**-ს სახით, რის სასარგებლოდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამოსავალმა **ჭ**-მ ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში **ხ** მოგვცა [მაჭავარიანი 1965: 69-70].

ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი	ქ ა რ თ უ ლ ი
Къарэ	ხარე
Къутыкъу	ხვითიხე-ი

5. ჩერქეზული ლარინგალური ხშულები (სპირანტიოიდები) I და Iy მეორეულია და ფარინგალური ხშულისაგან მიღებულად მიიჩნევა (შდრ. მეგრულ-ლაზურში მომხდარი პროცესი: ***ყ** → **ყ** – ცაგარელი 1980: 26-28; ჩიქობავა 1936: 19-20); ამასთან, **ყ ყ**-სთან ფონეტიკურად შედარებით ახლოსაა. ორივე აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით ჩერქეზული I და Iy ქართულში გადმოდის როგორც **ყ** და **ყვ**:

ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი	ქ ა რ თ უ ლ ი
Iэу	ყაბუ
IутIыж	ყვიტიჟ-ი

უკანაენისმიერმა ხშულებმა ჩერქეზულ სალიტერატურო ენა-სა და დიალექტების მეტ წილში აფრიკატიზაციის შედეგად **ჩ ჩჟ** მოგვცა. არაფონემური ღირებულების **к** (ქ) და **кI** (ჭ) შემონახულია მხოლოდ ბგერით კომპლექსებში, მაგრამ ისინი საკუთარ სახელებში არ არის დადასტურებული.

სტატიაში მოხმობილი მაგალითების მეტი წილი წარმოდგენილია **ჯ**. კოკოვის სპეციალურ გამოკვლევაში [კოკოვი 1973]. უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არის გამორიცხული შემდგომში დაზუსტდეს ამ ეტაპზე ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტრანსლიტერაციის წესები. დამატებითი კვლევის საგანია ჩერქეზულ ტოპონიმთა ქართულად გადმოცემის საკითხი.

ლიტერატურა

კოკოვი 1973 – Дж. Н. Коков, Вопросы адыгской (черкесской) антропонимии, Нальчик.

მაჭავარიანი 1965 – გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტიზმი, თბილისი.

როგავა, კერაშევა 1966 – Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар-Майкоп.

შენგელია 2014 – ვ. შენგელია, პირთა ჩერქეზული სახელების ტრანსლიტერაციისათვის ქართულში. I. ხმოვნები. – ქსკს, XIV, თბილისი.

შენგელია 2015 – ვ. შენგელია, ჩერქეზულ თანხმოვანთა ტრანსლიტერაციისათვის ქართულში. I. სპირანტები და სონორები. – ქსკს, XV, თბილისი.

ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.

ცაგარელი 1880 – Ал. Цагарели, Мингрельские этюды. Второй выпуск, Санктпетербург.

Vazha Shengelia

Transliteration of Circassian Personal Names in Georgian. II. Plosives

Summary

The issue of transliteration is topical, especially, with respect to toponyms and anthroponyms. The published papers of the recent years discussed transliteration of Circassian (Adyghe) vowels, sonorants and spirants. We are interested in plosives.

Georgian and Circassian are characterized by the triple system of plosives (Bzhedug and Shapsug dialects are exceptions as they have quadruple systems). In these languages the number of plosive phonemes is different. The modern Georgian literary language has 16 plosives while

Circassian has 24 (G. Rogava). There is no difficulty in transliterating 12 consonants of 4 sets of plosives in Georgian (**b p p̄ d t t̄ ʒ c ç ʒ̣ č č̣**). Transliteration of the specific Circassian plosives should be subjected to the rules, in particular:

1. Labialized consonants should be transliterated as a consonant cluster – a consonant + **v** (Circass. **ʒ°**, **c°**, **g°**, **k°**, **ḵ°** - Geo. **ʒv**, **cv**, **gv**, **kv**, **ḵv**);

2. Intensive sibilants are transliterated in the same way as common sibilants (Circass. **ʒ̣°**, **č̣°**, **č̣̣°** – Geo. **ʒ̣**, **č̣**, **č̣̣**);

3. Circassian pharyngeal plosive **q** and its labialized variant **q°** should be transliterated as **x** and **xv** (The facts indicate that the basic **q** became **x** in most cases in modern Georgian and the dialects);

4. Circassian laryngeal plosives (spirantoids) are considered to be secondary and derived from pharyngeal plosives (cf. Megrelian-Laz situation: ***q** > ’). They should be transliterated as phonetically close plosives (Circass. **ə** **ə°** - Geo. **q**, **qv**).

The illustrative material associated to transliteration will be presented in the paper.